ENERGO-PRO

დანართი 2

დადგენილება № კ.ფ. 2566-25

ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის

დადების შესახებ

ქ. თელავი 03 აპრილი 2025 წელი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას'' კახეთის ფილიალის იურისტი ნინო ნატროშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2025 წლის 03 აპრილი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი მიხეილ თევდორაშვილი - დაბადებული 1978 წლის 14 ოქტომბერს

მისამართი - საქართველო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი ს.გურჯაანი

პირადი ნომერი: 13001014631 , ტელ:579-07-38-50

.....

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

მიმდინარე წლის 27 მარტს შემოწმდა სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ელექტროენერგიის მომხმარებელი აბონენტის №9700755354 (აბონენტი:ანზორი(მიხეილ) თევდორაშვილი) მრიცხველი, შედგა აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №A1513790 ვიზუალური დათვალიერების და შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ აბონენტი, რომელსაც დავალიანების გამო არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, მრიცხველის გვერდის ავლით, უკანონოდ, არალეგალური სადენის დაერთებით მოიხმარდა ელექტროენერგიას. 2025 წლის 27 მარტს მიხეილ თევდორაშვილის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №010815.

მიხეილ თევდორაშვილმა უარი განაცხადა მის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ხელმოწერაზე, ახსნა-განმარტებაზე და არ დაიტოვა სამართალდარღვევის ოქმი.

მიუხედავად იმის, რომ სამართალდამრღვევს ეცნობა საქმის განხილვის დრო და ადგილი, იგი არ გამოცხადდა კომისიის სხდომაზე და მისგან რაიმე სახის განცხადება ან

შუამდგომლობა აღნიშნული საქმის განხილვის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე არ ყოფილა...

სს ენერგო-პრო ჯორჯია
კახეთის ფილიალი
ალაზნის გამზირი 93, თელავი, 2200
საქართველო I/D: 205169066
ტელ+9950322471707
info@energo-pro.ge
www.energo-pro.ge

ENERGO-PRO

მიხეილ თევდორაშვილის მიერ სამართალდარღვევა წარმოადგენს არაერთგზის შემთხვევას, ანალოგიური სამართალდარღვევის გამო 2024 წელს 23 ივლისს (ოქმი №010816) და 2025 წელს 06 იანვარს (ოქმი №010819) მას გამოვლენილ დარღვევაზე დაკისრებული აქვს სახდელი - ჯარიმა. საქმეში წარმოდგენილია 27.03.2025 წელს შედგენილი №A1513790 აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, რომლითაც დასტურდება მის მიერ ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არარსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი; აბონენტის ბარათი; ჩაბარების დადასტურება...), რომელთა მეშვეობითაც დგინდება მიხეილ თევდორაშვილის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ-ს 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის, 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის მეორე ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე; 240-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10 №14 დადგენილებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა :

6. მიხეილ თევდორაშვილი (პირადი №13001014631) ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმის სახით - 100 (ასი) ლარის ოდენობით.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე:

ნინო ნატროშვილი

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"
კავკასიის ფილიალი
ალექსიძის გამზირი 93, თელავი, 2200
საიდენტიფიკაციო ID: 205169066
ტელ:+9950322471707
info@energo-pro.ge
www.energo-pro.ge